პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ნოემბერი სამშაბათი 1973 წელი 2 ფასი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 270 (15787)

მეცხოველეობას — ყოველდღიური ზრუნვა!

ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების ღირსი

17-18 ნოემბერს მოეწყო მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება. დათვალიერება ნაუოფიერი და სასარგებლო იყო. გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა საქმიანად იმსჯელეს, დასახეს ქმედითი ღონისძიებანი.

მეცხოველეებო! მკვეთრად გაარღვევნათ მუშაობა, ყველაფერი გამაკეთოთ იმისათვის, რომ პირუტყვი ნორმალურად გამოვაზამთროთ, წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელი!

ცხაკაია

ცხაკაია. (საკ. კორ.). ახალი სენაკის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს დათვალიერების დღისათვის. დამონტაჟდა ახალი ნაკელგასატანი დანადგარი, მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა, კეთილმოეწყო რძის, მისაღები, მეცხოველეებმა დაამზადეს 158 ტონა თივა, 181 ტონა სილოსი, რაც ზამთრისათვის უზრუნველყოფს პირუტყვის გამოკვებას.

თეკლათის მეძროხეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის მეძროხეებმა ათ თვეში აწარმოეს 3.133 ცენტნერი რძე. ეს 2.147 ცენტნერით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. აქ კარგად მუშაობს მოწინავე მეცხოველე გ. რეკვავა, რომლის სახელობის პრიზი იყო დაწესებული რაიონში. მან 310 ცენტნერის ნაცვლად უკვე მიიღო 342 ცენტნერი რძე ანუ ერთ საფურაჟე ძროხაზე — 2.524 კილოგრამი.

დათვალიერებაზე გამოვლინდა ნაკლიც. უხეში საკვების დამზადებაში ჩამორჩნენ კოლხიდის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა, ლეძაძამის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა, ნაქალაქევის თუთის სანერგე და ტეხურის საბჭოთა მეურნეობა. ზოგ ფერმაში დაკელი არ არის სისუფთავე.

ყვარელი

ყვარელი. (საკ. კორ.). 17-18 ნოემბერს რაიონის მეცხოველეობის ფერმებში პარტიულ-საბჭოთა სამეურნეო აქტივისაგან შემდგარი კომისიები გულმოდგინედ ამოწმებდნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადყოფნას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის მეცხოველეობაში ფერმები წელს გაკეთებულთან უკეთ არიან მომზადებული პირუტყვის გამოსაზამთრებლად. მაღალია მწყემსთა შრომის დისციპლინა, აქ შექმნილი აქვთ შრომისა და დასვენების კარგი პირობები.

მაგრამ დათვალიერებამ გამოავლინა ნაკლოვანებებიც. მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია, სამუშაოთა უმეტესობა მეცხოველეთა ხელით სრულდება, რაც დიდ შრომას მოითხოვს და აძვირებს პროდუქციას. არც პირუტყვის ყველა სადგომი აღმოჩნდა მზად ზამთრის შესახვედრად. ყვარლის „ქინძმარაულის“ საბჭოთა მეურნეობის ძროხების სადგომი კარგად არ იყო დათბუნებული, კარ-ფანჯრები შესაკეთებელია, ყველა ფერმაში ჯერ კიდევ არ არის შემოღებული ხბორების ხელოვნური კვება.

მარნეული

მარნეული. (საკ. კორ.). საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმების დათვალიერებამ აქ ცხადყო, რომ რაიონის მეცხოველეები წელს უკეთ მოემზადნენ პირუტყვის საზამთროდ გამოზამთრებისათვის. ყველა ფერმაში, ბრიგადაში დროულად შეკეთდა სადგომები, წყსრიგში მოიყვანეს დანადგარები და მექანიზმები. თითქმის ყველგან მექანიზებულია საკვების მოწოდება, ნაკელის გამოტანა, პირუტყვის დარწყულება და სხვ. გაწმენდილია და წესრიგშია მოყვანილი ფერმები.

განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის შაუმიანის, ალგეთის, არაფლოს, ყიზილაღანის და სხვა საბჭოთა მეურნეობების მეძროხეობისა და მეძროხეობის ფერმები.

ამასთან დათვალიერებამ გამოავლინა ნაკლიც. მარნეულის მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში მეძროხეობის ფერმის მშენებლობას აქვინვრებს „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. ზოგ ფერმაში ფორმალურ ხასიათს ატარებს შეჯიბრება. ყველგან არ უწევენ მკაცრ კონტროლს საკვების ხარჯვას, სათანადოდ ჯერ იყენებენ ტექნიკას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ავტოტრანსპორტზე სახელმწიფო წესრიგისათვის

იმის შედეგად, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და ავტომეურნეობის ხელმძღვანელები საკმარისი ყურადღებით არ ეკიდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 მარტის დადგენილებას და 1973 წლის 26 ივნისის განკარგულებას ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა კერძო პირები ედილობდნენ სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებანი გამოეყენებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სეზონურობის მიზნით. მაგალითად, ოქტომბერშო გულრიფშის რაიონში დაკავებულ იქნა ორი სატვირთო ავტომანქანა, რომლებიც ეკუთვნოდა ფოთის ავტომეურნეობას. ამ მანქანებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ რვა ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ოქტომბერშივე მცხეთის რაიონში დაკავებული იქნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სოხუმის № 2654 ავტოკოლონის სატვირთო ავტომანქანა 2,5 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფით. 2 ნოემბერს გაგრაში დაკავებულ ერთ-ერთი საპრიჭტო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა, რომლითაც მიჰქონდათ 4,4 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

აღნიშნული ფაქტები შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში შესუსტდა საწარმოო დისციპლინა და სახელმწიფო წესრიგი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკაში საერთო-სახელმწიფო დავალებების შესრულების ხადებზეც. განსაკუთრებით ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების პერიოდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ავტოტრანსპორტზე სახელმწიფო წესრიგის დარღვევის, მძღოლების მიერ ანგარებითი მიზნით სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ცდების შემთხვევები და მკაცრად დასჯა დამნაშავეები და განახორციელა სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებანი. მაგალითად, იმ ორგანიზაციებს, სადაც გამოვლინდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ანგარებითი მიზნებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასატანად ავტომანქანების გამოყენების შემთხვევები — სოხუმის № 2654 ავტოკოლონას, საპრიჭტო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალს და ფოთის ერთ-ერთ ავტოსაწარმოს ჩამოერთვა ეს მანქანები და გადაეცა ან გადაეცემა სხვა ავტომეურნეობებს. მინისტრთა საბჭომ ცნობად მიიღო, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიამ განახორციელა ადმინისტრაციული ღონისძიებანი ფოთის № 2 საგზაო-ტრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობის მიმართ, ხოლო ამ ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი ავტომანქანა გადაეცა სხვა საწარმოს. (საქინფორმი).

მუშის თაოსნობა

მესამე, გადამწყვეტი — ვადამდე!

ხუთწლედის გმირი

სპეციალური ჩარხების უბანი ერთ-ერთი მოწინავეა თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში. აქ შრომობენ იხეთი გამოცდილი მუშები, როგორიც კომუნისტი რევაზ ქემოკლიძეა.

ახალგაზრდა ხარატი კომუნისტური შრომის დამკვრელია და ნაკისრი ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებს. რ. ქემოკლიძე დროს უსწრებს. მის პირად შრომითს კალენდარზე უკვე ახალი ხუთწლედი დაიწყო, ე. ი. პროდუქცია 1976 წლის ანგარიშში მზადდება.

სურათზე: თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის სპეციალური ჩარხების უბნის მოწინავე ხარატი რევაზ ქემოკლიძე.

ს. კილაძის ფოტო.

ბოლო ცნობები

ენგურჰესზე

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები დღითიდღე ზრდიან შრომის ტემპს. წლის ბოლომდე დარჩენილი დრო გამოცხადებულია დამკვრელურად. ჰიდრომშენებლებმა შეკადამეს ათი თვის შედეგები. შესრულებულია 25 მილიონ 532 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ნაცვლად 24 მილიონ 489 ათასი მანეთისა.

მოწინავეთა შორის არიან სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც პ. ბიჩეკი, უ. გოჯიაშვილი და ო. ჭინჭარაული უძღვებიან. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლებმა. მათ ათ თვეში შეასრულეს 4 მილიონ 79 ათასი მანეთის სამუშაო, მოანგრიეს და მიწისქვეშეთიდან გამოიტანეს 106 ათას 500 კუბური მეტრი ლღვის ქანი, გვირაბებში ჩაასხეს 29 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. დაწინაურდნენ პირველი, მეოთხე, მეხუთე უბნები, რომლებსაც ხ. სიხარულიძე, გ. თაბაგარი, მ. ჭაკვა ხელმძღვანელობენ.

ენგურზე გაჩდნენ ნ. ზლობინის მიმდევრები — შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები. მათ ნოდარ გულორდავა და გივი ჭანთარია უძღვებიან. ისინი რვა თვეზე მეტია უკვე ზლობინის მეთოდით შრომობენ. დეკემბრის ანგარიშში შრომობენ კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი ოთარ ბლიაძე, ვაჟა აბესაძე, ომარ ბობოხიძე, დიმიტრი პეტროვი უდგანან სათავეში.

ამ დღეებში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს — თაღოვანი კაშხალის ტანში ჩაასხეს მეორასიათასმე კუბური მეტრი ბეტონის ხსნარი. ამ საპატიო მისიის შესრულება მიენდო მებეტონეთა ბრიგადას. რომელსაც ახალგაზრდა ჰიდრომშენებელი გ. ყალიჩავა უძღვება. ბრიგადამ დავალება უწინდელ შეასრულა.

ამჟამად კაშხალის ტანში უკვე ჩასხმულია 203 ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ საშენებლო უბნები, რომლებსაც კ. ხასია, ვ. ჭკუასელი, კ. კობახიძე და ო. ნადარაია ხელმძღვანელობენ.

ლ. ბარქაია.

კერამიკოსებმა ტემპი აიღეს

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). კომუნისტური შრომის საწარმოოს — კერამიკული კომბინატის (დირექტორი გ. ბუცხრიკიძე) კოლექტივი თვიდან თვემდე ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს მის ხარისხს, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. აქ ათი თვის განმავლობაში მაჩვენებლთან დიდი გადაჭარბებით შესრულეს.

აღსანიშნავია, რომ არსებულ საწარმოო ფართობზე ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 11,9 პროცენტით გაიზარდა, მოსპირკეთებული ფილებისა — 11,9 პროცენტით, ნახევრადფაიფურის ნაკეთობებისა — 22,9 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია 9 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საამქროებს შორის ჯამარჯვა მოსაპირკეთებელი ფილების საამქრომ (უფროსი კ. ტორონიძე).

საწარმოს კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წლიური გეგმა პირველი დეკემბრისათვის შესრულოს.

შესრულებულია წლიური გეგმა

საჩხერე. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის (დირექტორი ი. ჩხეიძე, პარტბიუროს მდივანი დ. დეკანოიძე) კოლექტივმა შესრულა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა. დათვალისწინებული 5.500 ათასი პირობითი ქილა კონსერვისა და 115 ათასი დეკალიტრი ხილის ღვინის ნაცვლად გამოშვებულია 5.526 ათასი პირობითი ქილა კონსერვი და 145.773 დეკალიტრი ხილის ღვინო.

საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება. მარტო ცხრა თვეში მოგებამ შეადგინა 250 ათასი მანეთი, საიდანაც 44 ათასი მანეთი ზეგეგმითია. საჩხერელმა მეკონსერვეებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე სამშობლოს დამატებით მისცენ 1 მილიონი ქილა კონსერვი და 55 ათასი დეკალიტრი ხილის ღვინო.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

ზლობინის მიმდევრები ენგურჰესზე

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები დღითიდღე ზრდიან შრომის ტემპს. წლის ბოლომდე დარჩენილი დრო გამოცხადებულია დამკვრელურად. ჰიდრომშენებლებმა შეკადამეს ათი თვის შედეგები. შესრულებულია 25 მილიონ 532 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ნაცვლად 24 მილიონ 489 ათასი მანეთისა.

მოწინავეთა შორის არიან სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც პ. ბიჩეკი, უ. გოჯიაშვილი და ო. ჭინჭარაული უძღვებიან. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლებმა. მათ ათ თვეში შეასრულეს 4 მილიონ 79 ათასი მანეთის სამუშაო, მოანგრიეს და მიწისქვეშეთიდან გამოიტანეს 106 ათას 500 კუბური მეტრი ლღვის ქანი, გვირაბებში ჩაასხეს 29 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. დაწინაურდნენ პირველი, მეოთხე, მეხუთე უბნები, რომლებსაც ხ. სიხარულიძე, გ. თაბაგარი, მ. ჭაკვა ხელმძღვანელობენ.

ენგურზე გაჩდნენ ნ. ზლობინის მიმდევრები — შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები. მათ ნოდარ გულორდავა და გივი ჭანთარია უძღვებიან. ისინი რვა თვეზე მეტია უკვე ზლობინის მეთოდით შრომობენ. დეკემბრის ანგარიშში შრომობენ კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი ოთარ ბლიაძე, ვაჟა აბესაძე, ომარ ბობოხიძე, დიმიტრი პეტროვი უდგანან სათავეში.

ამ დღეებში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს — თაღოვანი კაშხალის ტანში ჩაასხეს მეორასიათასმე კუბური მეტრი ბეტონის ხსნარი. ამ საპატიო მისიის შესრულება მიენდო მებეტონეთა ბრიგადას. რომელსაც ახალგაზრდა ჰიდრომშენებელი გ. ყალიჩავა უძღვება. ბრიგადამ დავალება უწინდელ შეასრულა.

ამჟამად კაშხალის ტანში უკვე ჩასხმულია 203 ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ საშენებლო უბნები, რომლებსაც კ. ხასია, ვ. ჭკუასელი, კ. კობახიძე და ო. ნადარაია ხელმძღვანელობენ.

ლ. ბარქაია.

 წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეძროხეობის № 5 ბრიგადის მოწინავე ბრიგადირი ილო ქადაბიძე (მარჯვნივ) და № 3 ბრიგადის მწველავი ივანე ქადაბიძე.

გ. ზურაბიშვილის ფოტო.

ოფიციალური ვიზიტით

19 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების აფრიკელთა დამოუკიდებლობის პარტიის გენერალური მდივნის მოადგილის ლუის კაბრალის მეთაურობით.

გვინეა-ბისაუს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებით მორთულ შერეშეტევის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირები.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული — ქვეითები, მფრინავები, მეზღვაურები, და შეასრულეს გვინეა-ბისაუს და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ლუის კაბრალმა და ნ. ვ. პოდგორნიმ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწკრივს.

საპატიო სტუმარს და მასთან ერთად ჩამოსულ პირებს მიესალმნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები.

ქუჩები, სადაც ჩაიარა ავტომანქანების კორტეჟმა მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით, მორთული იყო გვინეა-ბისაუსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გვინეელო მეგობრებო!“, „დაე ეიფლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა“!, „ძმური სალამი გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის გმირი ხალხის წარმომადგენლებს!“.

(საკდესი).

ამერიკელი ასტრონავტები მოსკოვში

18 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკელი ასტრონავტები, რომლებიც საბჭოთა კოსმონავტებთან ერთად მოაწყობენ წვრთნას 1975 წელს „სოიუზ“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ეკსპერიმენტული ფრენის პროგრამის შესაბამისად. დელეგაციის შემადგენლობაში არის ამერიკელ ასტრონავტთა ორი ეკიპაჟი: ტ. სტაფორდი, დ. სლეიტონი, ვ. ბრანდტი, ა. ბინი, რ. ევანსი, დ. ლუსმა.

წვრთნა მოეწყობა ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში. (საკდესი).

მერაკეტეთა და არტილერისტთა დღესასწაული

19 ნოემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელების, თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იჯდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე ა. ა. მანველაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ხ. ტ. რიგვავა, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამართველოს გენერლები და ოფიცრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ო. ლობჟანიძემ.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის უფროსის მოადგილემ არტილერიის გენერალ-მაიორმა პ. ჭარაბარინმა.

დასასრულ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

ა. ა. გრომიკოსა და მ. შარპის მოლაპარაკება

19 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. შარპის მოლაპარაკება. მ. შარპი საბჭოთა მთავრობის მოწვეული ოფიციალური ვიზიტით არის ჩამოსული მოსკოვში.

მეგობრულ ატმოსფეროში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით განხილეს საბჭოთა კავშირისა და კანადისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის საკითხები. დადასტურდა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია კიდევ უფრო განავითაროს საბჭოთა კავშირისა და კანადის ყოვლისმომცველი თანამშრომლობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ა. ა. გრომიკომ საუზმე გაუმართა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. შარპს.

საუზმის დროს ა. ა. გრომიკომ და მ. შარპმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შარპი 19 ნოემბერს იყო უცნობი ჯარისკაცის საფლავთან და გვირგვინი შეამკო იგი. (საკდესი).

საქართველოს კომპოზიტორთა V ყრილობა

17 ნოემბერს დიდი სიმფონიური კონცერტით გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა V ყრილობა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ამ დღეს შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები. შესრულებული იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შ. მშველაძის მეოთხე სიმფონია. ყრილობის მონაწილეებმა და სტუმრებმა, მრავალრიცხოვანმა მსმენელებმა ჯელოთბილად მიიღეს სამშობლოს ეს დიდებული საჩუქარი.

ჯერული ხალხური მეოდიები დაედო საფუძვლად რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის კანტატას „ჯერული სიმღერები“ რომელიც დიდ წარმატებით შესრულდა იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს კონგრესის კონცერტზე მოსკოვში და სპეციალისტთა და მსმენელთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. დირიჟორს პულტთან იდგა ო. თაქთაქიშვილი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. მაჭავარიანმა წარმოადგინა თავისი ახალი ნამუშევარი — მეორე სიმფონია. რომელსაც მსმენელები ჯელთბილად შეხვდნენ.

ყრილობის პირველ კონცერტს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ს. რიგვავა.

ყრილობის მუშაობის მეორე დღე მიეძღვნა საბავშვო მუსიკას. კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესრულდა ს. ფინოკიძის კონცერტი ჩელოსათვის. ნ. მამისაშვილის კონცერტი ფორტეპიანოსათვის. ი. გეჯაძის კონცერტი ვიოლინოსათვის, გ. ცაგიშვილის სავიოლინო პიესები, ბ. ბაბერაშვილის სავიოლინტენორ პიესები, ბ. ბაბერაშვილის, რ. ჭარხუნიშვილის კანტატა, მ. დიაკონიშვილის სონატინა, ლ. ბაბერაშვილის საბავშვო პიესების ციკლი ჯ. ჩარკვიანის ლექსებზე. ისინი შეასრულეს ქალაქ თბილისის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა, ბავშვთა მხატვრული აღზრდის საქალაქო სახლის ჯუნდმა.

იმავე დღეს უჩვენის ს. ციხაძის ოპერა „ანდეგილი“ და ბ. კვირნაძის ბალეტი „ბერიკაობა“.

კომპოზიტორთა ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(საქინფორმი).

ანგარიშგება-არჩევნები
პარტიულ ორგანიზაციებში

მუშა, კოლექტივი, ინიციატივა

თბილისი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე

თითქმის სამ წელიწადს მოიცავდა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის საანგარიშო პერიოდი.

როგორი წარმატებებით მოვიდნენ საანგარიშო კრებაზე კიროველი კომუნისტები? რა გაეკეთებინ და რისი გაკეთება ვერ მოასწრეს? სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეს მათ და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ღირსეულად იცავენ კომუნისტური შრომისა და ცხოვრების დიდ ტრადიციებს.

საანგარიშო მოხსენებაში, რომელითაც პარტიული კომიტეტის მდივანი ა. შარაბიძე გამოვიდა, საწარმოს კომუნისტების, პარტიული კომიტეტის საქმიანობის საამი ძირითადი მიმართულება იყო განხილული. ეს მიმართულებანი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანებია, რომელთა შესრულებაც პარტიულმა კომიტეტის, კომუნისტთა საზრდენი იყო და იქნება.

უპირველეს ყოვლისა, მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო პარტიული კომიტეტის, კომუნისტების მუშაობის ანალიზს კოლექტივის ეფექტური საქმიანობა მოლოვნენ მოლოვნეობის საქმეში. ამისათვის მრავალი პარტიულ-ორგანიზაციული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიება განხორციელდა. ყურადღების ცენტრში იყო სოციალისტური შეჯიბრების გაწელა, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება, პირადი ინიციატივის და თაოსნობის გამოჩენა, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების სისტემატური შემოწმება.

კიროველმა კომუნისტებმა საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს, პროდუქციის მატებას ძირითადად მეალწეს შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე, არაერთი ინიციატივა გამოიჩინეს, ბევრ მასობრივ შეჯიბრებას ჩაუდგნენ სათავეში, რითაც როგორც თვითონ კოლექტივის ეფექტური შრომა უზრუნველყვეს, ისე სხვა კოლექტივებისაც.

მაგრამ კიროველ კომუნისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამ მიღწევების მარტო აღნუსხვა-ჩამოთვლას როდი დასჯერდნენ, თვითკრიტიკულად განიხილეს ყოველი წარმატება და ადიდებულ მასში მიტანილ ფეხები გამოეჩინათ. როგორც საანგარიშო მოხსენებაში, ისე კომუნისტთა გამოსვლებში იგრძნობოდა, რომ კოლექტივის წინაშე მდგომი დღევანდელი ამოცანების შესასრულებლად მიტის გაკეთებაა საჭირო, რომ დღეს უფრო უკეთ უნდა ვიშრომოთ, ვიდრე გუშინ.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილე კომუნისტებმა ა. ჩობანაშვილმ, დ. მოსესოვმ, ფ. ბიგანიძემ, თ. პაიჭაძემ, ვ. ბენდოკიძემ, ვ. მახარაძემ, ე. მამაცაშვილმა, ა. გოცირიძემ, ზ. ლიბერნმა, პ. მდორეულმა, ფ. ალნაძემ ალნიშნეს, რომ საწარმოს კოლექტივი, კომუნისტები მზად არიან იმისათვის, რომ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება, რომ კოლექტივის ენერგია სამეალეთო შრომითი დისციპლინა და გამოიჩენს მტკიცე კომუნისტურ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

კიროველმა კომუნისტებმა თავიანთ კრებაზე დეტალურად განიხილეს ბევრი საამქროსა და განყოფილების პარტიული ბიუროების, კომუნისტების მუშაობა სამი წლის მანძილზე და აღნიშნეს, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ჩრდილს აყენებს ქარხნის კოლექტივის საერთო საქმიანობას. მაგალითად, № 1 და № 2 საამქროებში მთლიანად ვერ ბეჭნენენ საწარმოო რეზერვებს, ასეგყობად დროულად ვერ ამარებენ დეტალებს. და ეს იმიტომ ხდება, რომ აქ დაბალია შრომითი და საწარმოო დისციპლინა, ბევრია გაცდენები, დაგვიანებანი, დიდია ადერების დინდობა. № 1 საამქროდან, მაგალითად, 1973 წლის წაგიდა 69 ადამიანი და მოვიდა 73; № 15 საამქროდან წავიდა 60 და მოვიდა 47.

საამქროების მუშაობის ანალიზით ნათელი გახდა, რომ ასეთივე ნაკლოვანებები მეტნაკლებად საწარმოს თითქმის ყველა უბანზეა. სწორედ ამის შედეგად ამ სახელოვანი ქარხნის კოლექტივმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ნოვატორმა კომუნისტებმა ვერ შესძლეს მთლიანად აღმოეფხვრათ წონი წარმოებაში და ქართული ჩარხები, რომლებსაც ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, „ხარისხის ნიშნით“ გამოეშვათ.

ამ ნაკლოვანებას აქაური კომუნისტები ძალიან განიცდიან, და ფიქრობენ რაც შეიძლება მალე გამოასწორონ. კიროველ ჩარხებს „ხარისხის ნიშნით“ მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს მიიღებს მომხმარებელიო, განაცხადეს მათ. რა გვეთქმის, მეტად მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. კიროველებს აქვთ ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ იგი განაღდონ. დასახლოდა მისი მიღწევის გზებიც, შემუშავებულია მეთოდები.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაფართოებაა. აქ თანდათან სრულყოფენ კომუნისტთა მიერ დაწყებულ ინდივიდუალურ შეჯიბრებას, „კიროველი მეთოდით“ რომ არის ცნობილი; ვრცელდება და ინერგება შეჯიბრების ერთი ახალი ფორმაც — „მრავალდაგოსანთა მოძრაობა“, რომელიც ამჟამ კოლექტივში დაიბადა; თანდათან სულ უფრო მეტი მეშვერულებები ებმებიან შეჯიბრებაში, პროდუქციის ფიფიფრტოდ დამზადებას და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას რომ ითვალისწინებს.

შეჯიბრებას სათავეში ედგანან კომუნისტები. 470 კომუნისტადან, ქარხნის პარტორგანიზაციაში რომ არიან გაერთიანებული, ემტერესობა მეშვიბი. ეს ის ხალხია, მუდამ რომ იჩენს ინიციატივას, აჩენებს შრომის მაგალითს, ზრდის ახალგაზრდა თაობას. კომუნისტები ვერთიანებული არიან 21 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. აქედან 15 პირველადი პარტიული ორგანიზაცია უშუალოდ საამქროებშია შექმნილი, ე. ი. კომუნისტები წარმოების ყველა გადამწყვეტ უბანზე არიან განაწილებული.

მაგრამ, აღინიშნა კრებაზე, ისინი ყველგან როდი აქტიურობენ, ვერ ავლენენ სამაგალითო დისციპლინას, ადგილი აქვს გაცდენებს, დაგვიანებებს, ირღვევა მართლწესრიგის ნორმები, მარცალია, ბევრი ნაოდენობი, მაგრამ მაინც არის სოციალისტური საკუთრების მიტაცების ფაქტები, მოისესხებს მუშაობა ახალგაზრდობასთან.

კრებაზე დიდი გულისტკივილით ილაპარაკეს იმაზე, რომ საწარმოს ყველა უბანზე ჯერ კიდევ არ არის შრომის კარგი პირობები, მოსაწყობია სამუშაო ადგილები. ხშირად წონიანია ოთოპერირებით მოსული „ნიდოლული“, რომელსაც აწევდის ქარხანა „ცენტროლიტი“. აღინიშნა ნაკლოვანებები შრომის სტაფილირების საქმეშიც. ამათში გამოსულმა კომუნისტებმა ბევრი საყურადღებო შენიშვნა გააკეთეს, რომელთა გათვალისწინებაც დაიჭერებს ამ მიტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას.

სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბევრი რამ უკეთ გააკეთეს კიროველმა კომუნისტებმა. სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით სრულდება. წლის ბოლომდე დარჩენილი დრო გამოცდადებულია დამკვრელურად, იკისრეს, რომ წლიურო დავალება 28 დეკემბერს შეასრულონ, ე. ი. ერთი დღით ადრე, ვიდრე წლის დასაწყისში ჭქონდათ დათქმული. მიღებული და დამტკიცებულია 1974 წლის შემზეადრი გეგმა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ პარტიული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და აირჩია მისი ახალი შემადგენლობა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩუკაინმა.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. გრიგალაშვილი და საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ალავიძე.

რ. ჯელიძე.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

შრომა და სწავლა

ᲘᲔᲚᲐᲕᲘᲡ წინდების ფაბრიკა დიდხანს ჩამორჩებოდა, პროდუქციის ხარისხი ვერ აკმაყოფილებდა მომხმარებლის მოთხოვნილებას. ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და პარტიის რაიკომის დახმარებით საწარმოში განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი, საწარმო დაკომპლექტდა კვალიფიციური სპეციალისტებით, გაწიფრულად მოაწყეს შრომა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, დაინერგა გაუმჯობესებული ტექნოლოგია. პროდუქციის მთელი რაოდენობის 60 პროცენტი — ჭალისა და მამაკაცის წინდები ახლა ბამბის ძაფისაგან იქსოვება, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა.

საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის ათი თვის დავალება 101 პროცენტით განაღდა, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 25 ათასი მანეთის პროდუქცია მიჰყიდა. გადაჭარბებით შეასრულა ნატურ-პროდუქციის გამოშვების გეგმაც. დავალების გადამეტებით დამზადებულია 150 ათასი წყვილი წინდა.

ფაბრიკის კოლექტივს მაღალნაყოფიერ შრომაში ეხმარება კარგად მოწყობილი ეკონომიური და პოლიტიკური სწავლება. სულ შექმნილია სწავლების 15 ჯგუფი. კომუნისტური შრომის სკოლაში 425 კაცია გაერთიანებული. მეცადინეობას ატარებენ გამოცდილი პროპაგანდისტები ლ. საკანაძე, მ. ალავერდაშვილი, მ. გამყრელიძე და კ. ზუბიტაშვილი.

სურათზე: პროპაგანდისტი კ. ზუბიტაშვილი კომუნისტური შრომის სკოლის მსმენელებთან მორიგ მეცადინეობას ატარებს.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აქ მექანიზატორებს იზრდიან

40 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უკვე ოთხი ათეული წელია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების აღზრდის საქმეს ერთგულად ემსახურებიან სურამის მე-14 და ფულუკიძის მე-9 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლები. მათი დაარსება ემთხვევა იმ პერიოდს, როცა საქართველოში მთლიანმა კოლექტივიზაციამ საფუძველი ჩაუყარა სოფლის მეურნეობაში წარმოების სოციალისტური ფორმის დანერგვას. ხაკოლმეურნეო ველ-მინდვრებს მანქანები დაეპატრონა, დღის წესრიგში მწვავედ დადგა მექანიზატორთა კადრების საკითხი. და აი 1933 წელს სურამსა და ფულუკიძეში სატრაქტორო კურსები გაიხსნა.

ამ ხნის მანძილზე სურამის მე-14 სასწავლებლის კედლებში აღიზარდა 15.300 კვალიფიციური სპეციალისტი (აქედან 8.134 ტრაქტორისტ-მემანქანე, 1.300 კომბაინერი, 600 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, 804 მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი, 2.303 ავტომძღოლი და სხვ.) იგი რესპუბლიკის სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს შორის პირველი გადავიდა სამწლიან სწავლებაზე და 1969 წლის პირველი სექტემბრიდან აღსაზრდელებს სპეციალობასთან ერთად საშუალო განათლებასაც აძლევს.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია იქაური პედაგოგ-ოსტატებისა და მოსწავლეებისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით აიგო და საგანსალოობაციოდ გადაეცა 420 მოსწავლისათვის განკუთვნილი ახალი საწარმოო კორპუსი, სასადილოთი და სპორტული დარბაზით. მოიწყო და უახლესი ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით აღიჭურვა სპეციალური საგნების 9 კაბინეტი, ძველი კორპუსი კი მთლიანად ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებას დაეთმო.

სასწავლებელს (დირექტორი მ. ჯიბუტი) აქვს 82 ჰექტარი სასწავლო ნაკვეთი და მდიდარი სამანქანო პარკი. აქ ყველაფერს აკეთებენ სპეციალობას ღრმად დაუფლებული, ფართო ზოგადი განათლებით შეიარაღებული ახალგაზრდა სპეციალისტების აღსაზრდელად.

სახელოვანი გზა განვლო ფულუკიძის მე-9 პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმაც, რომელიც უკვე 2 წელიწადია მოსწავლეებს სამუშაო ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასაც აძლევს. იგი ამჟამად ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს, ეჩსკავატორის მემანქანეებს, სოფლის ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის მონტაჟორებს, მეყვავილე-დეკორატორებს, მძღოლ-შემკეთებლებს. მან სამშობლოს მოუმზადა 12.900-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა შორის არიან ეკონომისტები, ბუღალტრები, ბრიგადირები, ოსტატ-ბრიგადირები, ბალანსმცოდნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ინჟინერ-ეკონომისტები — ხელმძღვანელები.

ფულუკიძის მე-9 სასწავლებლის პედაგოგიურმა კოლექტივმა (დირექტორი ბ. ფაილოძე) ნაყოფიერი მუშაობით შეძლო შეექმნა რენტაბელური სასწავლო მეურნეობა მიწათმოქმედების მაღალი კულტურით, სადაც თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო სრულდება მოსწავლეების მიერ საწარმოო სწავლების ოსტატთა ხელმძღვანელობით. მიღწეული წარმატებებისათვის იგი დაჯილდოებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და სხვა სიგელებით.

ზეიმით აღინიშნეს მე-14 და მე-9 სასწავლებლებმა დაარსების 40 წლისთავი. სურამში იქაური პედაგოგების საწარმოო სწავლების ოსტატებისა და მოსწავლეებისათვის ამ ღირსშესანიშნავი თარიღის მისაწყალად მივიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. შეიარდნაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მეზობელი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლები, ხაშურის რაიონის პარტიული, საბჭოთა კოლკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები. ასევეთვე ზეიმით აღინიშნა საიუბილეო თარიღი ფულუკიძის მე-9 პროფსასწავლებელში. ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები, რაიონის კულტურის სახლში მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის და დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით სურამის მე-14 და ფულუკიძის მე-9 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელებით. სასწავლებლები შეიტანეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საპატიო წიგნში. საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა პედაგოგებისა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ჯგუფი.

ალ. ასლანიშვილი.

საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის ოთარ ლაბაძისგან გაათავისუფლა **გ. ა. ჯოხთაბერიძე** სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **გ. ბ. ყორჟოლიანი.**

პლენუმმა მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ოფხუეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ო. კობახიამ.**

საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პლენუმი

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პლენუმი, რომელაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **შ. თ. ჭილაძე** სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **რ. მ. ლლონტი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **შ. დ. კოკინაძემ.** (საქინფორმი).

პარტორგანიზაციათა მდივნების სკოლა

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა და მუშაობს შეუდგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ერთწლიანი სკოლა. მისი მსმენელებისათვის პარტიული ცხოვრების, კომუნისტური და სამეურნეო მშენებლობის სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ბ. აბშილავამ, საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ი. ციბარეულ და რაიკომის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲚᲝᲓ

ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ მირეკ მსოფლიო კონგრესი, რომელიც ოქტომბრის შუა რიცხვებში მიმდინარეობდა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. მისი დევიზი იყო: „ერთიანობა და სოლიდარობა პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ“.

საქართველოს პროფკავშირთა წევრების ნახევარმილიონიანი არმიის რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მის დასკვნებთან და გადაწყვეტილებებთან სოლიდარობა იხადა ვეს რესპუბლიკური პროფკავშირული საბჭოს კრების მონაწილეებმა, რომელიც 16 ნოემბრს გაიმართა თბილისში.

შომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, ვარნის ფორუმის მონაწილემ თ. მოსესოვმა კონგრესის დოკუმენტებს უყოდა მუშაობა ლასასა და პროფკავშირების მოქმედების პროგრამა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ლ ხაზი გაუსვა, რომ ახლანდელმა საერთაშორისო მდგომარეობამ, როცა მსოფლიოში ხდება შემობრუნება კონფრონტაციიდან მოლაპარაკებისაკენ, „ცივი ომიდან“ თანამშრომლობისაკენ, უდიდესი გავლენა მოახდინა კონგრესის მომზადებასა და მთელ მსვლელობაზე.

დაძაბულობის შენელების ეს პროცესი შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების დაუცხრომელი მეცადინეობის მეოხებით. ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპები გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში. ამ ვიზიტებით მკაფიოდ გამოიხატა სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკური საშმაოდობო პროგრამა.

კონგრესის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელ წერილს, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა.

ვარნის ფორუმის მონაწილეებმა აღფრთოვანებითა და ერთსულოვნად მიიღეს საპასუხო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენ. ი. ბრეჟნევისადმი.

შემდეგ თ. მოსაშვილი შეეხო რესპუბლიკის პროფკავშირთა საერთაშორისო ურთიერთობას. მარტო მიმდინარე წელს საქართველოს აწვია 30 პროფკავშირული ორგანიზაცია ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პროფკავშირული მუშაკები, რომლებიც ერთსულოვნად მხარს უჭერენ და იწონებენ კონგრესის გადაწყვეტილებებს.

რესპუბლიკური პროფკავშირული აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც საქართველოს პროფკავშირთა წევრების, ყველა, მშრომელის სახელით მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესზე. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲪᲚᲘᲡ (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცლის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად **ბ. ბ. ᲙᲝᲠᲩᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡ** ᲬᲐᲠᲓᲒᲝᲜᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პლენუმი, რომელაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად **ᲠᲝᲛᲐᲜ ᲪᲘᲠᲘᲜᲘᲡ** ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲒᲠᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲐᲥ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

40 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უკვე ოთხი ათეული წელია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების აღზრდის საქმეს ერთგულად ემსახურებიან სურამის მე-14 და ფულუკიძის მე-9 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლები. მათი დაარსება ემთხვევა იმ პერიოდს, როცა საქართველოში მთლიანმა კოლექტივიზაციამ საფუძველი ჩაუყარა სოფლის მეურნეობაში წარმოების სოციალისტური ფორმის დანერგვას. ხაკოლმეურნეო ველ-მინდვრებს მანქანები დაეპატრონა, დღის წესრიგში მწვავედ დადგა მექანიზატორთა კადრების საკითხი. და აი 1933 წელს სურამსა და ფულუკიძეში სატრაქტორო კურსები გაიხსნა.

ამ ხნის მანძილზე სურამის მე-14 სასწავლებლის კედლებში აღიზარდა 15.300 კვალიფიციური სპეციალისტი (აქედან 8.134 ტრაქტორისტ-მემანქანე, 1.300 კომბაინერი, 600 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, 804 მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი, 2.303 ავტომძღოლი და სხვ.) იგი რესპუბლიკის სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს შორის პირველი გადავიდა სამწლიან სწავლებაზე და 1969 წლის პირველი სექტემბრიდან აღსაზრდელებს სპეციალობასთან ერთად საშუალო განათლებასაც აძლევს.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია იქაური პედაგოგ-ოსტატებისა და მოსწავლეებისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით აიგო და საგანსალოობაციოდ გადაეცა 420 მოსწავლისათვის განკუთვნილი ახალი საწარმოო კორპუსი, სასადილოთი და სპორტული დარბაზით. მოიწყო და უახლესი ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით აღიჭურვა სპეციალური საგნების 9 კაბინეტი, ძველი კორპუსი კი მთლიანად ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებას დაეთმო.

სასწავლებელს (დირექტორი მ. ჯიბუტი) აქვს 82 ჰექტარი სასწავლო ნაკვეთი და მდიდარი სამანქანო პარკი. აქ ყველაფერს აკეთებენ სპეციალობას ღრმად დაუფლებული, ფართო ზოგადი განათლებით შეიარაღებული ახალგაზრდა სპეციალისტების აღსაზრდელად.

სახელოვანი გზა განვლო ფულუკიძის მე-9 პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმაც, რომელიც უკვე 2 წელიწადია მოსწავლეებს სამუშაო ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასაც აძლევს. იგი ამჟამად ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს, ეჩსკავატორის მემანქანეებს, სოფლის ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის მონტაჟორებს, მეყვავილე-დეკორატორებს, მძღოლ-შემკეთებლებს. მან სამშობლოს მოუმზადა 12.900-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა შორის არიან ეკონომისტები, ბუღალტრები, ბრიგადირები, ბალანსმცოდნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ინჟინერ-ეკონომისტები — ხელმძღვანელები.

ფულუკიძის მე-9 სასწავლებლის პედაგოგიურმა კოლექტივმა (დირექტორი ბ. ფაილოძე) ნაყოფიერი მუშაობით შეძლო შეექმნა რენტაბელური სასწავლო მეურნეობა მიწათმოქმედების მაღალი კულტურით, სადაც თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო სრულდება მოსწავლეების მიერ საწარმოო სწავლების ოსტატთა ხელმძღვანელობით. მიღწეული წარმატებებისათვის იგი დაჯილდოებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და სხვა სიგელებით.

ზეიმით აღინიშნეს მე-14 და მე-9 სასწავლებლებმა დაარსების 40 წლისთავი. სურამში იქაური პედაგოგების საწარმოო სწავლების ოსტატებისა და მოსწავლეებისათვის ამ ღირსშესანიშნავი თარიღის მისაწყალად მივიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. შეიარდნაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მეზობელი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლები, ხაშურის რაიონის პარტიული, საბჭოთა კოლკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები. ასევეთვე ზეიმით აღინიშნა საიუბილეო თარიღი ფულუკიძის მე-9 პროფსასწავლებელში. ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები, რაიონის კულტურის სახლში მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის და დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით სურამის მე-14 და ფულუკიძის მე-9 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელებით. სასწავლებლები შეიტანეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საპატიო წიგნში. საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა პედაგოგებისა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ჯგუფი.

ალ. ასლანიშვილი.

დიდი მოვალეობა, დიდი ამოცანები

**ᲡᲐᲥᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა და მასალებმა, რომლებიც წარმოადგინენ მნიშვნელოვან წინადადებებს ნაბიჯს მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარების გზაზე, პარტია და ხალხი შეიარაღებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის, მისი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის, სოციალისტური დემოკრატიის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი სრულყოფისა და წინსვლისათვის საქმიანობის კონკრეტული, მიზანდასახული პროგრამით. ყრილობამ წამოაყენა მეცნიერულად დასაბუთებული, კონსტრუქციული საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომლის ბირთვი გახდა მშვიდობის პროგრამა, რომელიც თანამიმდევრულად ხორციელდება და რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა, მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ, პლანეტის მთელმა ანტიიმპერიალისტურმა და მშვიდობისმოყვარე ძალებმა. ყრილობის იდეები საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც დიდი წარმატებანი მოიპოვეს მეცხრე ხუთწლედის წლების მანძილზე შთააგონებენ ალდეგ უფრო დამჭიდროებულ ორგანიზებული შემოქმედებითი შრომისათვის.

კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ახალ გამარჯვებათა, საბჭოთა ქვეშრის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის, სოციალური სამართლიანობისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მისი ბრძოლის ახალ წარმატებათა საიმედო გარანტიაა საბჭოთა ქვეშრის კომუნისტური პარტიის განუწყვეტლივ მზარდი ხელმძღვანელი როლი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი საქმიანობა. პარტია მეცნიერულად და დასაბუთებულად აანალიზებს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენებს, მსოფლიო განვითარების ახალ სიტუაციებს, იღებს სწორ, ეფექტიან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

გამბედაობა ახალი საკითხების დასმაში, რეალიზმი, პრინციპიულობა, საქმიანობა, იმის უნარი, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებანი, კომუნისტური იდეალები დაუკავშირონ ყოველდღიური საკითხების გადაჭრას, შთამაგონებელი პოლიტიკური ლოზუნგი „ინტერნაციონალური ორგანიზაციული ამოცანებს — აი რა ახასიათებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოლქკომიტეტის, ეროვნული საქმიანობის, პოლიტბიუროს მეთაურობით მისი ადგილიური ხელმძღვანელობის სტილს. თეორიისა და პრაქტიკის ახალი პრობლემების დამუშავება შემოქმედებითი მარქსისტულ-ლენინური თეორიის — ჩვენი ტაბუარი მეცნიერული კომპასის — განვითარებაზე. ჩვენი პარტიის ყრილობებისა და ეროვნული კომიტეტის ლენინმბის გადაწყვეტილებანი, ეროვნულ-ეროვნული დოკუმენტები მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების მაგალითია. მაგრამ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა თვით ხასიათი მოითხოვს საზოგადოებრივი განვითარების თეორიული პრობლემების სულ უფრო აქტიურ დამუშავებას, შემოქმედებითს მიდგომას, ცხოვრების მოვლენებისადმი“.

ეს ზრდადი რევოლუციური თეორიის მუდმივი განვითარებისათვის, რაც ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა, პრაქტიკის ახალი პრობლემების შემოქმედებითი გააზრება შეადგენენ წიგნის ლეიტმოტივს.

სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტებში, პარტიისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებებში ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა ყურადღება ეპყრობა სახალხო მეურნეობის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა, სოციალიზმის უპირატესობებთან ორგანული შეერთების, შრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გადამჭრელი გაუმჯობესების კოლოსალურ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დგას საბჭოთა საზოგადოების წინაშე.

